ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2401 პარასკევი, 6 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2401

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კუკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ელისაბედ დავითის ასული, ალექსი, ვასილ, დიმიტრი და ნინო ბაქრაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლისას, ხოლო უკანასკნელნი—საყვარელის მამის

ივანე გიორგის ძის ბაქრაძისას.

დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 7 თებერვალს; წირვა სამების ეკკლესიაში. პანაშვიდი პარასკევს 7 საათზე საკუთარ სახლში, დიდი ვანქის ქუჩა. (2—1)

სოფ. ახალსოფელში მცხოვრებნი **ნიკოლოოზ და მარიამ ელიავა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ საყვარელის შვილის

გრიგოლის

გარდაცვალებას და სთხოვენ მათ მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზე დასასწრებლად წმ. ნინოს ეკკლესიაში შაბათს, 7 თებერვალს. (1—1)

ქართული თეატრი
საყველიერო რეპერტუარი

ქართულ დრამატულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
შაბათს 7 თებერვალს
ბენეფისი მეორე ხარისხოვან არტისტებისა, სუფლიორისა და სცენარიუსისა

სამშობლო

დრამა 5 მოქმ. ერისთავისა.

—

კვირას, 8 თებერვალს, უკანასკნელი წარმოდგენა.
ბენეფისი რეჟისორის თ. აკაკი წერეთლისა ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

თამარ ცბიერი

დრამა 5 მოქმ. აკაკი წერეთლისა.

ყველა წარმოდ.—ადგილების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი საღამოს 8 საათზე
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. **რეჟისორი აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
პარასკევს, 6 თებერვალს, 1904 წ., გაიმართება ორი წარმოდგენა I. დილას:

სნეგუროჩკა

ოპერა 4 მოქ. რიმსკი-კორსაკოვისა.
II. საღამოს ბ. გლადკოვის საბენეფისოდ

ევგენი ონეგინ

ოპერა 3 მოქმ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ენკვისტ, მელნიკოვა, სელიუკ, კარტავინა, ლელინა, კარრი და სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, გლადკოვი, თულაშვილი, სელიავინი, ილიუშჩენკო, ევლახოვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი დილის წარმოდგენისა $12^1/_2$ საათზე, საღამოსი 8 საათზე.
კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 7 თებ. ორი წარ. დილით „ვინძორის ნათლიდედები“, საღამოთი „ტოსკა“.

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სი ილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპეიდა. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.)

ტელეფონი № 274

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო

ბანკის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ უძრავ მამულთა, დაგირავებულთა ბანკში, რომელთ პატრონებს არ შემოუტანიათ 1 ივლისის 1903 წლ. გადასახადი ფული.

ქალაქის მამულებზედ ვაჭრობა იქნება 10 თებერვალს.

დაბა და სოფლებისაზედ 12 თებერვალს. მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 27 თებერვალს.

შემოსატანი ფული მიიღება ვაჭრობის დღემდის ქუთაის ბანკის კასსაში, ტფილისში—აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ბათუმში—სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილებაში. 3—2

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
კბილის ექიმი

მ. ი. ბებიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ჩემს ულრმესს მადლობას ვწირავ იმ პირთ, რომელთაც პირადის დასწრებით ანუ წერილებით და დეპეშებით ნუგეში მცეს და მონაწილეობა გამომიცხადეს ჩემს გამოუთქმელს მწუხარებაში, ჩემის მეუღლის **თავ. ივანე ალექსანდრეს ძის მაჭუტაძის** უეცარის სიკვდილისა გამო.

კნეინა ანნა ნიკო ერისთვის ასული
მაჭუტაძისა

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—15)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბებიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლღას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—5.—49)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 თებერვალი

პეტერბურგი. გენერალ-მაიორ სმირნოვს გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა და პორტ-არტურის ციხის კომენდანტად დაინიშნა.—გენერალ-მაიორი რაზნატოვსკი ციმბირის მხედრობის მე-3 კორპუსის შტაბის უფროსად დაინიშნა, გენერალ-მაიორი ფონ-რენენკამფი ზაბაიკალის ყაზახთა მე-6 დივიზიის უფროსად.—სამარასა, გორიგორეცკსა, ორენბურგსა, სარატოვსა, მარშანსკსა, მოგილევსა, ნიჟნისა, ვილნოსა, სუვალკისა, აკერმანსა, ალექსანდროვსა და მოზირში პატრიოტული მანიფესტაციები გაუმართავთ. პატრიოტული შეწირულებანი: ნიჟნეტაგილის ქარხნის მოსამსახურეებს თავიანთ თვიური ჯამაგირის 2 პროც. შეუწირავთ, ვიტებსკის საქველმოქმედო საზოგადოებას—500 მან. პლოცკის სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს—თავიანთ ჯამაგირის ერთი პროცენტი, ვიდრე ომი არ გათავდება; ტფილისის მე-2 საქალებო გიმნაზიის მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეთ—ბალისათვის შეკრებილი ფული, ესკის საბჭოს—500 მან. კურსკის მოქალაქეთ—10 ათასი მანეთი; შჩიგრის ერობის მოსამსახურეთ—ჯამაგირის 2 პროც. ვლადიმირის სავაჟო გიმნაზიის მოსწავლეთ—500 მან., ცარიცინის საბჭოს—25 ათასი მანეთი და კარგოპოლის მცხოვრებთ ხელის-მოწერით—500 მან.

ბერლინი. გუშინ სასახლეში ბალის დროს გერმანიის იმპერატორი დიდ-ხანს გატაცებით ესაუბრა რუსეთის ელჩს.

როსტოვი-დონზე. კავკავის რკინის გზის ოსტატები და მუშები თავიანთ ცოლ-შვილით—3 ათასამდე სული—ტაძარში წავიდნენ პარაკლისზე და იქიდან ჰიმნის მღერით დაბრუნდნენ.

ირკუტსკი. 3 თებერვალს გზათა მინისტრი ირკუტსკის სადგურზე მოვიდა. მინისტრს მიეგებნენ გუბერნატორი, რკინის გზის მმართველობას უფროსები და მოხელეები. მინისტრმა მმართველობა დაათვალიერა და 5 საათზე ლისტვენიჩნოიში წავიდა.—მობილიზაციის პირველ დღეს სრული წესიერება და სიწყნარე ჰსუფევდა; ხალხი ძლიერ აღფრთოვანებულია.—3 თებერვალს საღამოთი ჯარის პირველი ჯგუფი გაიგზავნა პორტ-არტურში.

ვენა. გამოცხადდა, რომ ავსტრო-ჰუნგრეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს რუსეთ-იაპონიის ომის დროსაო.

პორტ-არტური პორტ-არტურში სიწყნარეა. ჯარები პოზიციებზე დგანან.—იუწყებიან, იუანშიკაიმ თავის ჯარს გამოუცხადა, ჩინეთი ნეიტრალიტეტს დაიცავსო და მანჯურიისაკენ პატარა რაზმი გაგზავნა ჩინეთის საზღვრის დასაცველადაო. მობილიზაცია მშვენივრად სწარმოებს. ნამესტნიკს რუსეთის ყველა კუთხიდან მოსალოცი დეპეშები მოსდის ჯარისა, ხალხისა და დაწესებულებათაგან.—იალუზე სიწყნარეა.

ტომსკი. ციმბირის რკინის გზაზე კერძო ტვირთს აღარ იღებენ.

ტიან-ძინი. („რეიტ. სააგ.“) იუანშიკაიმ ოფიციალურად შეატყობინა აქ მყოფ საფრანგეთის გენერალს, თუ რისთვის იგზავნება ზეგ ჩინეთის ჯარი ბაიოტინფუდან. იმის სიტყვით, ეს ჯარი შან-ჰაი-გუანს კი არ მიდის, არამედ ძინ-ჯოუსა და გოუბანში ლიაოხეს მდინარეზე, ჩინეთის ტერიტორიაზე ბრძოლის ნებას არავის მივცემთო. მებრძოლ სახელმწიფოთა რაზმებს და კერძო პირთ ჩინეთში იარაღს აჰყრიანო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“) მანჯურიიდან გამოქცეული იაპონელები ამბობენ, რუსებს ჯარები მიჰყავთ იალუს ჩრდილოეთით მოსაგროვებლათ, რადგან იქ მოელიან იაპონელებთან უმთავრეს შეტაკებასო.

ტოკიო. („ვოლფის სააგ.“) იაპონიის ნაღმიანი გემები რუსეთის ვლადივასტოკის ესკადრას დაეძებენ.

შან-ჰაი. („რეიტ. სააგ.“) ტოკიოდან იტყობინებიან, რომ იქ ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთის კრეისერები „ბოგატირ“, „გრომობოი“, „როსია“ და „რიურიკი“ ისევ ვლადივასტოკში დაბრუნდნენო.

ტოკიო. („გავ. სააგ.“) სამი ტრანსპორტის გემი მუშებით და სურსათ-სანოვაგით წასულ კვირას ნაგასაკში წავიდა.

ჩემულპო. რვა ტრანსპორტის გემი ჯარებითა და მრავალი სხვა გემი სურსათ-სანოვაგით კორეის აღმოსავლეთ ნაპირისკენ წავიდა. ცხენოსანმა ჯარმა მზვერავები გადასხა იზ-ჯოუში.

შანჰაი („რეიტ. სააგ.“) რუსეთის ელჩი ბარონი როზენი მოვიდა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ჩინეთში ნეიტრალიტეტის დაცვის საქმე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ყველა სახელმწიფოებმა შეიწყნარეს შეერთებულ შტატების წინადადება. ამასთანავე დეპარტამენტი იმ აზრისაა, რომ საჭირო არ არის ამ წინადადების დაწვრილებითი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ასე კარგათ მოწყობილი საქმე დაირღვეს; ამის გამო ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი შემდეგში აღარ იქნება. თუ რომელიმე მებრძოლმა სახელმწიფომ ნეიტრალიტეტი ჩინეთში დაარღვია, გარდა მანჯურიისა, სახელმწიფოებს დრო ექნებათ შეთანხმდნენ და საერთოდ იმოქმედონ ნეიტრალიტეტის დამრღვევის წინააღმდეგ.

პეტერბურგი. იტყობინებიან შემოწირულებათა შესახებ: უფიდან—ზლატოუსტის საბჭოს შეუწირავს 1000 მან. ნოვგოროდის კლუბს 1000 მან., საბჭოს 2000 მ., ორელის საბჭოს 5000 მან. ბაქოსას 15,000 მ., პოლტავისას 5,000 მ., ხელისმოწერით შეუგროვებიათ პოლტავაში ათასი მან., მარიუპოლის ხელოსანთა გამგეობას ათასი მან., ნოვგოროდ-სევერსკის საქალაქო დაწესებულებათა ბანკებისა და სასწავლებლების მოხელეთ გადაუწყვეტიათ შესწირონ თითო % ჯამაგირიდან, პეტროზავოდსკის საბჭოს ათასი მ., და ქალაქ ელეცის ბირჟის საზოგადოებას—3000 მან.

ჰელსინგფორსი. აქაური ფინები, საზოგადო სამშობლოსადმი სიყვარულით გატაცებულნი, აცხადებენ, მზათ ვართ რუსეთის ჯარს გვერდში ამოვუდგეთო. ყოველ მხრიდან თხოულობენ, რუსეთის შორეულ-აღმოსავლეთის ჯარში ჩაგვრიცხეთო. მარტო ჰელსინგფორსში 120 კაცმა ითხოვა, ბრძოლის ველზე გაგვგზავნეთო. აქაურ დოკების ხელოსნებს ჰსურთ პორტ არტურისა და ვლადივასტოკის დოკებში გადასვლა. არიან მსურველნი წითელი ჯვრის საზოგადოებაში მოწყალების დებად ჩაეწერონ.

მელენკი. წითელი ჯვრის აქაურმა კომიტეტმა დაადგინა, 100 საწოლი მოვამზადოთ და შორეულ აღმოსავლეთში გავგზავნოთო.

პორტ-არტური. დაღუპულ სანაღმო ტრანსპორტ „ენისეი“-დან გადარჩენილთა სიტყვით, ქარმა გემი გაიტაცა და ნაღმზე მიიტანა; ნაღმმა იფეთქა და გემის წინა ნაწილი ძლიერ შეანგრია. გემის უფროსმა რომ დაინახა გემი იღუპებაო, ყველას უბრძანა, თავს უშველეთო. ზღვაში საჩქაროდ ნავები ჩაუშვეს. მეზღვაურები უფროსს ეხვეწებოდნენ, ნავში ჩამოდითო, მაგრამ უფროსმა გადაჭრით უარი განაცხადა და დაემუქრა, ვინც არ აჩქარდება, მოვკლავო. ზღვაში ყველაზე გვიან გადავარდა ჯარი-კაცი, რომელიც ფულის სკივრს დარაჯობდა. გემის უფროსი თავის ადგილას დარჩა და გემთან ერთად ჩაიძირა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ძმებო, თავს უშველეთ, ჩემზე ნუ ზრუნავთ!“ ნაპირიდან უკან დაბრუნებულმა ნავმა დარაჯი გადაარჩინა, გემის უფროსი-კი აღარსად სჩანდა. ასე იღუპებიან გმირები, უბრალო შემთხვევის მსხვერპლნი და ასრულებენ თავის სამშობლოსა და ხელმწიფისადმი მოვალეობას.

პორტ-არტურში ცვლილება არ მომხდარა. ხმა, ვითომ იაპონელები ცინვანდაოში გადასულან, ტყუილია.

ციხის უფროსის ბრძანებით, პორტ-არტურის ბულვარებზე კვირაში ორჯელ მუსიკა დაუკრავს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

პეტერბურგი. ობერ-შტალმეისტერმა გრაფ ორლოვ-დავიდოვმა წითელი ჯვრის საზოგადოებას ერთი მილიონი მანეთი შესწირა.

შორეულ-აღმოსავლეთში წავიდა ვიცე-ადმირალი მაკაროვი, რომელიც დიდ-ოკეანეს ესკადრის უფროსად დაინიშნა.

პარიზი. გაზეთი „ტან“-ი იტყობინება, შან-ჰაიში ხმა გავრცელდა, ჩინეთსა და იაპონიას შორის საიდუმლო ხელ-შეკრულობა არსებობს, რომლის ძალით, თუ რუსეთმა იაპონიას აჯობა, ჩინეთი ბრძოლაში უნდა ჩაერიოსო.

ლონდონი. გუშინ ლანსდოუნმა ხელი მოაწერა სახელმწიფოთა შეთანხმებას, რომლის ძალით რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩინეთმა მტკიცე ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას.

პრაგა. სამუნიციპალო კრებამ ერთხმად დაადგინა, პეტერბურგის ქალაქის საბჭოს რუსეთისადმი სიყვარული გამოვუცხადოთ და რუსეთის ჯარის გამარჯვება ვუსურვოთო. რუსეთის დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოდ შეწირულებას აგროვებენ.

ბერლინი. ტოკიოდან იუწყებიან, შინაგანი 100 მილიონ იენის ხუთ-პროცენტიანი სესხი სავსებით დაიფარაო.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

პეტერბურგი. 4 თებერვალს, მის იმპერატორებით უდიდებულესობამ დაათვალიერა აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მის უდიდებულესობის 1-ლ პოლკის მე-3 ბატალიონი. ბატალიონი მოვიდა და საზამთრო სასახლის ეზოში ჰაუპტვახტისკენ დადგა. ჯარის კაცებს ტანისამოსი და ქუდები ციმბირის ჯარის ფორმისა ჰქონდათ. სასახლიდან გამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი, ხელმწიფე მემკვიდრე და უავგუსტოესი მთავარ-სარდალი. ხელმწიფე ჯარის მარჯვნივ მივიდა და ჯარს მიესალმა. შემდეგ, როცა ჯარის დათვალიერება გაათავა, ხელმწიფემ შემდეგი სიტყვა ბრძანა: „მიხარიან, ძმებო, რომ მე ომში წასვლამდე გხედავთ და გზის დალოცვა შემიძლიან. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პატიოსნურად დაიცავთ თქვენის ძველს სამხედრო დიდებას და ძვირფას სამშობლოსთვის თავს გასწირავთ. გახსოვდეთ, რომ თქვენი მტერი მამაცი, გამბედავი და მოხერხებულია. გულწრფელად გისურვებთ სრულს კეთილდღეობას და მტერზე გამარჯვებას. მე მსურს, ძმებო, თქვენ და თქვენთან ერთად ჩემი საყვარელი აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პირველი პოლკი წმინდა სასწაულ-მოქმედის სერაფიმე საროველის ხატით დავლოცოთ. იგი იყოს თქვენს მაგივრად მლოცველი და თქვენი მფარველი. ბატონო აფიცრებო, გულწრფელად გმადლობთ თქვენის ნებით ომში წასვლისთვის. კიდევ ერთხელ გმადლობთ, ძმებო, გაკურთხოთ ღმერთმა“. ბატალიონმა ცერემონიალურ მარშით გაიარა და ხელმწიფის „მადლობა“ დაიმსახურა. უკან სამხედრო ურმები მისდევდნენ. ხელმწიფემ ერთხელ კიდევ მიჰმართა ჯარს და უთხრა „მშვიდობით ძმებო“.

„პრავიტელ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: „ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მთელი რუსეთი ღრმად აღელვებულია მტრის მოქმედებით, რომელმაც მოულოდნელად შესწყვიტა მოლაპარაკება და ვერაგულ თავდასხმით მოინდომა ეპოვნა იაფი გამარჯვება ომში, რომელიც დიდი ხანია სურდა. მთელის რუსეთის საზოგადოებას, რასაკვირველია, მოუთმენლად ჰსურს სამაგიეროს გადახდა და გულის ფანცქალით ელის შორეულ-აღმოსავლეთის ამბებს. რუსეთის ხალხის შეერთებული ძალა მთელ ქვეყანას დაანახვებს, რომ იაპონია სამაგიეროს მიიღებს თავის ვერაგობისა და მშვიდობიანობის დარღვევისათვის. მშვიდობიანობის დაცვა ჩვენის საყვარელის მეფის მუდმივი სურვილი იყო. ომის მდგომარეობა გვაიძულებს მოთმინებით ველოდოთ ჩვენის იარაღის გამარჯვებას, რომელიც, შეიძლება, მაშინ მოხდეს, როცა რუსეთის ჯარი გაბედულად და მედგრად დაიწყებს მოქმედებას. თავს დასხმა ჩვენის სახელმწიფოს უშორეს ნაწილზე, რომელიც სახელმწიფოს შუაგულიდან რამდენიმე ათას ვერსის მანძილზეა და ჩვენი მთავრობის გულწრფელი სურვილი მშვიდობიანობის დაცვისა, რაიც წინდაწინვე ომის მომზადებას შეუძლებლად ხდიდა, გვაიძულებს ბევრი დრო დავხარჯოთ იმისთვის, რომ იაპონიას ისეთი დამარცხება ვაჩვენოთ, როგორიც რუსეთის სიძლიერეს შეეფერებოდეს; ამასთან რაც შეიძლება რუსეთის ძვირფასი სისხლი ნაკლებად უნდა დაიღვაროს და ჩვენი გამარჯვება ღირსი ჯილდო იყოს იმ ერისთვის, რომელმაც თავხედათ გამოგვიწვია ბრძოლაში. დეე რუსეთის საზოგადოებამ მოთმინებით მოუცადოს მომავალ ამბებს და დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი ჯარი ომის გამოცხადებისთვის იაპონიას ერთიორად გადაუხდის სამაგიეროს. ხმელეთზე სერიოზული მოქმედება ჯერ ადრე არ დაიწყება და ჩვენც არ შეგვიძლიან და ჯერ-ჯერობით არც უნდა ველოდოთ ბრძოლის ველიდან ჩვენი საქმეების ამბებს. რუსეთის დიდებას და ძლიერებას არ შეეფერება მტრის საჩქარო სამაგიეროს გადასახდელად უბრალო სისხლი დაღვაროს. ჩვენმა სამშობლომ ამ დღეებში იმდენი ერთობა და ძვირფას სამშობლოსთვის ყველაფრის შეწირვის სურვილი გამოიჩინა, რომ, უეჭველია, ბრძოლის ველიდან ყველა სარწმუნო ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობება მთელს რუსეთის საზოგადოებას“.—გენერალ-მაიორ ფლუგის დეპეშა 4 თებერვალს პორტ-არტურიდან მთავარ შტაბს: „იუანშიკაიმ თავის ჯარს ჩინეთის მხრით ნეიტრალიტეტის დაცვა გამოუცხადა. ქალაქ ცინ-ჯოუ-ფუს 2500 კაცი გაგზავნა მშვიდობიანობის დასაცველად.

პორტ-არტურში არავითარი ცვლილება არ არის. ინკოუში მშვიდობიანობაა.—მართლდება ის ამბავი, რომ იაპონელები ხუნხუზებისაგან ბრბოს ადგენენ, რომ ერთიანად რკინის გზას დაეცნენ. იალუზე მშვიდობიანობაა. მზვერავები იტყობინებიან, რომ იალუდან 50 ვერსზე მტერი არსადა სჩანს.—შან-ჰაიდან ამბავი მოვიდა, შან-ჰაისა და ნაგასაკს შუა ჩქარა გემთა მიმოსვლა დაიწყებაო.—გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან: როგორც საფრანგეთის კრეისერ „პასკალ“-ის უფროსი დეპეშით იტყობინება, ეს კრეისერი 3 თებერვალს ჩემულპოდან გასულა, რომ შან-ჰაის მიიყვანოს სეულში მყოფი რუსეთის ელჩი პავლოვი, 62 რუსი, სამხედრო გემთა „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის უფროსები, ამავე გემების 16 აფიცერი და 268 ჯარის კაცი.—ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდან დეპეშებითა და ფოსტით ღრმა აღშფოთებას აცხადებენ იმის გამო, რომ იაპონიამ ომი მოულოდნელად დაიწყო და ამასთან რუსეთს თანაგრძნობას უცხადებენ და რუსეთის მხედრობას გამარჯვებას უსურვებენ. ასეთი განცხადებანი მოვიდა: სერბიის საერო კრებისაგან, რუსეთის კლუბისაგან ბელგრადში, ვეიმარში მცხოვრებ რუსებისაგან, ჩეხების ერთ-ერთ საზოგადოებისაგან პრაგაში, სერბიის სამღვდელოებისაგან კრალევში, ქალაქ ბალჩიკის მცხოვრებთაგან, კრაგუევაცის მცხოვრებთაგან, ქალაქ ვიდინის სამღვდელოებისა და მცხოვრებთაგან, შუმლისა, ფილიპოპოლისა, ბრაილოვისა, ბრაციგოვისა, სლოვენცევისა და ტრიესტის მცხოვრებთაგან და აგრეთვე მსოფლიოსა და ანტიოქიის პატრიარქთაგან.

უქვეშევრდომილესი დეპეშა, 4 თებერვალს მის უდიდებულესობის მიერ მიღებული შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „უქვეშევრდომილესად ვაცნობებ თქვენს უდიდებულესობას შემდეგ დეპეშას, რომელიც მომივიდა კრეისერების რაზმის უფროსის რეიცენშტეინისაგან: „29-ს დილას დავღუპე გემი „ნაგური-მარუ“, რომლიდან 41 კაცი გადმოვსხი. ამ დროს მოვიდა პატარა გემი; რადგან ძლიერი ქარ-ბუქი იყო, გე-

ფელეტონი

სიტყვა-კაზმული მწერლობა 1903 წელს

(დასასრული *)

იშვიათი შემთხვევაა, რომ ახალგაზრდა მწერალმა ისეთის მოხდენილის და ძლიერის ნაწარმოებით დაიწყოს მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, როგორც ბ-ნ ადამაშვილის „ჩანჩურა“. ეს სადებიუტოდ დაწერილი მოთხრობა, ჩვენის ფიქრით, დიდად საინტერესოა და უტყუარად ჰმოწმობს იმის ავტორის უეჭველს მხატვრობითს ნიჭს და ლოღიკურის სისასტიკით მომქმედს ფანტაზიას. „ჩანჩურა“ არ წარმოადგენს ცხოვრების სინამდვილიდან გადმოღებულს სურათს, ამ მოთხრობას საზოგადოებრივის უსამართლობის დასურათება არა აქვს სახეში და იმისი გმირები მკითხველს სიმპატიისა და ანტიპატიის მარტივს გრძნობებს არ უღვიძებენ გულში. როდესაც მწერალს მძლავრი შემოქმედებითი ფანტაზია არა აქვს, ის ძალაუნებურად სცდილობს თავისი გმირები ისეთის ფერადებით დაასურათოს, რომლებიც აუცილებლივ განსაზღვრულს გრძნობებს აღვიძებენ და მკითხველისთვის ცხად ჰყოფენ ავტორის განზრახვას, დედა აზრს. ძლიერის ფანტაზიისთვის ეს სენტიმენტალური საშუალება სრულიად საჭირო არის, ის ობექტიურად ჰმოქმედობს, მაგრამ ისეთს სასტიკს მდგომარეობას გვიხატავს, რომელიც ბუნებრივად იწვევენ მკითხველს ღრმა ფიქრებისაკენ. ბ-ნი ადამაშვილი თავის „ჩანჩურა“-ში ადამიანის ღირსების პატივისცემას ითხოვს, მედგრად ებრძვის ზნეობითს გულქვაობას და ულმობელის სისასტიკით ჰსჯის ყველას, ვინც-კი პიროვნებას ჰლახავს. მოთხრობის დასაწყისში ახალგაზრდა მწერალი თავის გმირს „ჩანჩურა“-ს ისე გვისურათებს, როგორც კაცობრიობის ნაძირალს, რომელსაც არავითარი ღირსება არ მოეპოვება. მკითხველს არ შეუძლიან ამ გმირისადმი თანაგრძნობით გაიმსჭვალოს, რადგანაც არავითარი თანაგრძნობის გამომწვევი თვისება არა სჩანს, და ან სრულიად გულცივად უცქერის იმას, ან მასხარაობის საგნად წარმოიდგენს. ასეთი მოპყრობა ადამიანისადმი, ბ-ნ ადამაშვილის აზრით, თვით ზნეობის ძირითადის მოთხოვნის უარყოფაა და, აი, ამ უზნეობას უცხადებს ის ბრძოლას, სასტიკსა და ულმობელს ბრძოლას.

ჩანჩურა ფუთნახევარს იწონის, სიგრძით არშინ-ნახევარს არ აღემატება, მუნჯია, უგვარტომო, ქუჩაში მოხეტიალე და გონება დახშული. ჩანჩურას არაფერი ქონება არ გააჩნია, ერთის შამფურის მგზავსის მავთულის გარდა, რომელსაც არაფრის გულისთვის თავს არ დაანებებს, რადგანაც იმას ეს შამფური ყასპების დუქნიდან ხორცის მოსაპარად სჭირდება. ჩანჩურას ცოდნა და წარმოდგენები ბაზარს იქით ვერ მიდიან; ამ ბაზარში დაიარება ის ყოველ დღე, აქა სცემენ იმას ყასბები, მეეტლეები და პოლიციელები, აქა სტანჯავს იმას თორმეტის წლის ბიჭი არტუშა და იმისი ძაღლი მურა, მაგრამ ჩანჩურას ვერ წარმოუდგენია, რომ ამ ბაზარს გარეშე კიდევ არსებობს რამე და ამ ადგილს თავს არ ანებებს მით უმეტეს, რომ იმისთვის შოლტით ცემა, ყასპების მუშტები, პატარა ბიჭების სილები, პოლიციელის მათრახი, არტუშას ოინები და მურას კბილები აუცილებელს საჭიროებად არის გადაქცეული. გონება დახშულს, გაიდიოტებულს ჩანჩურას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ადამიანთა ურთიერთობაზე, ვერ შეუგნია, მაგალითად, რისთვის ექცევიან ყასპები ზრდილობიანად მუშტრებს და რისთვის აძლევენ მათ ხორცის მშვენიერს ნაჭრებს, რა არის ის ქესტის ნაჭრები, რომლებსაც მუშტარი ყასაბს ჰისცემს ხოლმე. გაკვირვებულია ჩანჩურა, რატომ იმას კი არ აძლევენ ყასბები ხორცს ან და რატომ სხვებსაც იმასავით არ სცემენ. ამ კაცობრიობის ნაძირალს არავითარი წარმოდგენა არა აქვს თავის ადამიანურის ღირსების შესახებ, არავითარი ზნეობით ცნობა არ არსებობს იმისთვის და არაფრით არ გაირჩევა პირუტყვისაგან, გარდა გარეგნობისა. ასე ახასიათებს ბ-ნი ადამაშვილი ჩანჩურას და პირველის შეხედვით ისეთს სისასტიკეს იჩენს, რომ მკითხველი უნებურად ფიქრობს, რა აქვს ადამიანური ჩანჩურას და მართლა ადამიანია თუ სხვა რამ ადამიანის მაგვარი არსებაო? ამიტომ მკითხველს არ აშფოთებს ზნეობრივად ის გარემოება, რომ ჩანჩურას მთელი ქვეყანა ხელის წამოსაკრავ მასხარად იხდის.

ის ზნეობითი გულქვაობა და განურჩევლობა, რომელიც ახასიათებს ჩანჩურას მასხარობის საგნად წარმოდგენას, ამოშენებულია იმ ყალბს შეხედულებაზე, რომელიც ზნეობას ინტერესზე და სარგებლობაზე ამყარებს. ზნეობის მეცნიერება ამ შეხედულებას უტილიტარიანობას უწოდებს და ამ მოძღვრების მიმდევარია პრაქტიკულად საზოგადოების დიდი უმრავლესობა. ეს მოძღვრება გვასწავლის, რომ ზნეობის უკანასკნელს საფუძველს სარგებლობა შეადგენსო. ამავე საფუძველზეა დამყარებული კლასსიური ზნეობის სწავლაც. საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრების შესწავლამ გამოარკვია, რომ ხალხი რამდენსამე სხვა-და-სხვა, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ინტერესების ჯგუფის ან კლასსისაგან შესდგება. ინტერესის სხვა-და-სხვაობას, უტილიტარიანულ ზნეობის მოძღვრებით, აუცილებლივ უნდა მოჰყვეს თან სხვა-და-სხვა კლასსის ზნეობრივ შეხედულებათა გარჩევა და განსხვავება. ამიტომ ხშირად ამბობენ, ზნეობა და ზნეობრივი ცნებები ყველა კლასს თავისი საკუთარი აქვს, მოპირდაპირე კლასსების ზნეობრივი წარმოდგენები ერთიმეორის უარმყოფელია, და ყოველი კლასსის ზნეობა ერთნაირად მართალია, რადგანაც ერთნაირად არის დამყარებული ინტერესზეო. ამ სახის ზნეობრივის მოძღვრების მიმდევარი, უეჭველია, არ აშფოთდება იმის გამო, რომ ყოვლად უვარგისს, ყოვლად უსარგებლო ჩანჩურას მთელი ქვეყანა ისე ეპყრობა, როგორც მასხარას, და გულის გასაყოლებლად ხან სცემს და ხან ატლინკებს. პირიქით, თუ გნებავთ, სარგებლობის ნიადაგზე დაფუძნებულის ზნეობის მიხედვით, ჩანჩურას უპირველესი მწვალებელი არტუშა მშვენივრად იქცევა, რადგანაც ამ უსარგებლო ადამიანს იმ სასარგებლო ნივთად ხდის, რომელიც ყასბებს ამხიარულებს და ლაღს სიცილს ჰგვრის. ბ-ნი ადამაშვილი ვერ შეჰრიგებია ამ ყალბს წარმოდგენას ზნეობის შესახებ და, როგორც მხატვარი, სასტიკის სურათებით გვიმტკიცებს, რა ღრმა შეცდომაა ზნეობის სხვა რომელსამე საფუძველზე დამყარება, გარდა ადამიანის პიროვნების პატივისცემისა, მიუხედავად იმისა, აქვს რაიმე პირადი ღირსება ადამიანს თუ არა.

ერთი კვირაა, რაც ბაზარში უცნაურად დამეგობრდნენ ჩანჩურა, არტუშა და მურა—განაგრძობს თავის მოთხრობას ბ-ნი ადამაშვილი. არტუშა და მურა მუდმივი მტრები იყვნენ ჩანჩურასი, რომელსაც ისე არავინ სტანჯავდა, როგორც ისინი. ამ დამეგობრებას

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2383.

მებიდან ჯარის-კაცები ვერ გადმოვსხი და ამიტომ გემიც არ დავღუპე. გარემოებამ ნება არ მომცა ზღვის ნაპირის ახლო წავსულიყავით, ამიტომ გავემართეთ ქალაქ შესტაკოვისაკენ, რათა ზღვის ღელვას გადავრჩენოდით და კორეის ნაპირისკენ მივსულიყავით. რადგან ზღვის ღელვა იყო, მხოლოდ ხუთი მილის გავლა-ღა შეიძლებოდა; 9 გრადუსი ყინვა იყო, ასე რომ კრეისერები და ზარბაზნები ყინულმა დაჰფარა. ზღვის ღელვას სამს დღესა და ღამეს ვებრძოდით“.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

პეტერბურგი. სამხედრო ბარგის მეტის სისწრაფით გადაზიდვის საქმე ჩინეთის რკინის გზაზე კარგად მიდის.

პეკინი. აქაური ინგლისური და იაპონური გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ თავად სუცინვანის, პეკინის ჟანდარმერიისა და პოლიციის უფროსის სამსახურიდან გადაგდომას. ამას ევროპიელთა წინააღმდეგ მომქმედ იაპონელთა წრის გაძლიერებით ხსნიან; ეს შემთხვევა ნამდვილად აიხსნება ჩინეთის თავადების პირად ანგარიშებით, უფრო კი თავად ცინის მოქმედებით, რომელიც სუცინვანის მამასაც ემტერებოდა.

ირკუტსკი. მობილიზაცია დაიწყო. ჯარი ძლიან აღფრთოვანებულია.

პეკინი. ახალმა წელმა პეკინში ჩვეულებრივად ჩაიარა. აქ სრული მშვიდობიანობაა. იმპერატორმა სასახლის ტაძრებში ილოცა და იმპერატრიცას ახალი წელი მიულოცა. ამ დროს უმაღლესი მოხელენი სასახლეში დაესწრნენ. ქუჩებში უქმის გამო დიდი მოძრაობაა.

სეული. იაპონიამ გემი გაგზავნა, რათა ჩემულპოსა და მოზამპოში დატყვევებული რუსები ნავასაკში გაგზავნონ.

ბერლინი. ტოკიოდან იტყობინებიან, კვირას იაპონიის ნაღმიან გემებმა პორტ-არტურზე იერიში მიიტანეს. ამის დამამტკიცებელი ცნობები ჯერ არ არის. გაზეთი „ნორდდაიჩე ალგემაინ ცაიტუნგ“-ი სწერს, რადგან სახელმწიფოები პრინციპიალურად დაეთანხმნენ ამერიკის წინადადებას, ამიტომ ვაშინგტონის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, ჩინეთის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვის საქმე გათავებულიაო და ინგლისის თხოვნა, საქმის დაწვრილებით აწერის შესახებ—უარჰყო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი. ინგლისურ გაზ. „ტაიმს“ ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის ჯარის მთავარ-სარდლად მთავარ-შტაბის უფროსს გენერალ კოდამას დაჰნიშნავენ, ჯარის პირველ კორპუსის უფროსად გენერალ კურაკასაო („ნოვ.“)

გენერალი კოდამა ორიოდე თვის წინ დაინიშნა მთავარ-შტაბის უფროსად. ამბობენ, კოდამა სამხედრო საქმის დიდი მცოდნე, ნიჭიერი და განათლებული კაციაო.

იაპონიის ჯარის მოქმედება. იაპონიას დიდი ჯარი გადმოჰყავს კორეიაში. „ნოვოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: „გენზანში გადასული იაპონელი ჯარი პინიანისაკენ მიდის იქაურ ჯართან შესაერთებლად“.

იმავ გაზეთს ატყობინებენ ლონდონიდან: ცნობა მოვიდა, იაპონელები კორეიაში ორ ადგილას გამაგრდნენო: იალუს ველის სამხრეთით და გენზანის გასწვრივ (გენზანი აღმოსავლეთ კორეიაშია) კორეის დასავლეთ ნაპირებამდეო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იწერება: „31 იანვარი. აქაურ სამხედრო წრეებს არა სჯერათ, რომ იაპონელებს პორტ-არტურის ახლო გადასვლა და მანჯურიის გზის შეკვრა ეხლავე ეწადოთ. ერთი სამხედრო სპეციალისტი სწერს „კელნიშე ცაიტუნგ“-ში: ყველაფრიდან სჩანს, რომ პირველი დიდი შეტაკება ხმელეთზე ან მდინარე იალუს ნაპირას მოხდება, ან ცოტა ჩრდილოეთით მუკდენისაკენ. თუ აქ გაიმარჯვეს, მაშინ კი იაპონელები ხმელეთიდან და ზღვიდან ალყას შემოარტყამენ პორტ-არტურს. 1894 წელსაც იაპონელებმა ჯერ იალუზე დაამარცხეს ჩინელები და მერე პორტ-არტურისაკენ წავიდნენო“.

„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: „სიმონოსეკიდან (იაპონიიდან) 60 გემი წავიდა ჯარით. ჩემულპოში ამ ჯარიდან მხოლოდ 2,500 კაცი გადავიდა, მაშასადამე ეს ჯარი მომეტებულ ნაწილად პორტ-არტურისაკენ წასულაო. ჰფიქრობენ, ეს ჯარი ელიოტის კუნძულებთან იმალება სადმეო. 1894 წელს, პორტ-არტურზე იერიშის მიტანის წინადაც, ამნაირად მოიქცნენ იაპონელებიო“.

იაპონია ახალ იარაღს ჰყიდულობს. „ნოვოსტი“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ჰამბურგიდან ამერიკაზე იაპონიაში 15 კრუპის ზარბაზანი გაჰგზავნესო.

იმავ გაზ. ატყობინებენ: ხმა დადის, ამსტერდამიდან დიდ-ძალი იარაღი და სამხედრო ნივთები გაჰგზავნეს ჩინეთსაო, ნამდვილად კი ეს იარაღი იაპონიას უნდა ჩაჰბარდესო“.

რუსის სამხედრო მწერლის აზრი იაპონიის ჯარზე. რუსული გაზ. „პეტერბურგსკაია გაზეტა“-ს თანამშრომელი სწერს: „დღეს ერთს ჩვენს სამხედრო მწერალს იაპონიის ჯარზე ველაპარაკე. „მწერალმა მითხრა: იაპონელები საუცხოვო ჯარის-კაცები არიან, გულწრფელი პატრიოტები და ნამდვილი ვაჟკაცები; სიკვდილს არად აგდებენ, ზიზღით უყურებენ. სიკვდილი იაპონელებისათვის თითქო არაფერიაო. ამიტომ იაპონელები თითქმის არას დროს არა ჰნებდებიან მტერსა, ტყვეობას ყოველთვის სიკვდილს რჩეობენ.

— მაშ იაპონელები საშიშ მტრად მიგაჩნიათ?

— რუსის ჯარს არავისი არ ეშინიან, მაგრამ კორეის საზღვარზე, იალუს ნაპირებზე, მედგარი ბრძოლა მოგვიხდება ჩვენ მოწინააღმდეგეებთან, მეტადრე თუ იაპონიის ჯარმა დაგვასწრო, მთები დაიჭირა და გამაგრდა. მთებიდან იაპონელების განდევნა მეტად ძნელი საქმეა. სულ თუ გავწყვეტთ, თორემ ისე არ დაგვანებებენ.

— ხომ არა სცდებით?

— როგორ თუ ვცდები?

— რა ვიცი, ამ ბოლოს დროს იაპონელებს ყველანი გატაცებით აქებდნენ.

— არა, სრულობითაც არა ვარ გატაცებული. იაპონელ ჯარის-კაცს ყველა მცოდნე სამხედრო კაცი აქებს; რუსის აფიცრები, თუ ევროპიელები, ყველანი ქებით იხსენიებდნენ იაპონიის ჯარის მოქმედებას ჩინეთის არეულობის დროს.

— მაშ როგორ გგონიათ, ხმელეთზეც გაგვიჭირდება იაპონიასთან ბრძოლა?

—მე ეგ არ მითქვამს. მე მხოლოდ იმას ვამბობ და ვსწერ, რომ იაპონელებთან ბრძოლა ადვილი არაა“.

დასასრულ რუსის მწერალს იმედი გამოუთქვამს, ბოლოს უსათუოდ რუსის ჯარი აჯობებსო. („პეტ. გაზ.“)

გემ „ენისეის“ დაღუპვა. დეპეშიდან ვიცით, რომ რუსის ნაღმის მზიდველი გემი „ენისეი“ 29 იანვარს დაიღუპა. ამის თაობაზე რუსული გაზ. „ნოვოე ვრემია“ სწერს: „ენისეი“ ნაღმებს აწყობდა ტალიენვანის (პორტ-არტურს ახლოა) ნავთ-სადგურის შესავალში. გემის უფროსმა დაინახა, რომ ერთი ნაღმი მაღლა ამოსულიყო. გემი მოჰშორდა იმ ადგილს, სადაც ნაღმი სჩანდა, რომ ნაღმისათვის შორიდან ზარბაზნის ყუმბარა ესროლა და აეფეთქებინა. მაგრამ ამ დროს სხვა ნაღმს მოჰხვდა. ნაღმი გასქდა და მთელი გემი ააფეთქა“.

დეპეშიდან ვიცით, რომ ამ გემზე 96 რუსის მეზღვაური დაიღუპა.

ამერიკის ნოტა. დეპეშებიდან ვიცით, რომ ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰეიმ მისწერა დიდ სახელმწიფოებს, ვეცადნეთ, რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩინეთის ნეიტრალიტეტი და იმისი ხელ-უხლებლობა დავიცვათო. ამ ნოტის თაობაზე ვაშინგტონიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: „ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრი ცდილობს, რომ ომი, რაც შეიძლება, ნაკლებ ადგილზე სწარმოებდეს, სხვა ადგილებსაც არ მოედოს. ამბობენ, ჰეიმ თავისი ნოტა რუსეთისა და იაპონიის მთავრობის სახელობაზე დასწერაო. ამას გარდა, ჰეიმ ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოსაც სთხოვა, ამერიკის წინადადებას მხარი დაუჭირეთ და თითონ თქვენც ასეთივე წინადადება გაუგზავნეთ რუსეთსა და იაპონიასაო. ჰეი თავის ნოტაში თხოულობს, ნურც რუსეთს, ნურც იაპონიას ნებას ნუ მივცემთ, ნამდვილ ჩინეთს შეესივნენო“.

გერმანული გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი ამ წინადადებას არჩევს და უმატებს: „ჰეის ნოტიდან ცხადად სჩანს, რომ ამერიკის წინადადება მანჯურიას არ შეეხება, რადგან მანჯურია ამ ჟამად უცნაურ, განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და ბრძოლის აკრძალვა ამ პროვინციაში შეუძლებელი საქმეა. ყველა სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, რომ ჩინეთი ხელ-უხლებელი დარჩეს ომის დროს, ამიტომ, გვგონია, ყველანი დაეთანხმებიან ამერიკის წინადადებას. გერმანია ხომ დიდის ხალისით დაუჭერს მხარს ამ წინადადებას, რადგან თუ ომი ჩინეთსაც მოედო, მაშინ ევროპას ვაჭრობას აღმოსავლეთ-აზიაში დიდი ზარალი მიეცემა და ჩინეთშიაც უცხოელების წინააღმდეგ აჯანყება იფეთქებს. ეტყობა, საფრანგეთიც ასეთისავე თვალით შეჰხედავს საქმეს. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის წერილიდან მაინც სჩანს, რომ საფრანგეთსაც ჭკუაში მოსდის ჰეის წინადადება. იმედი გვაქვს, ამ საქმეზე ყველა ნეიტრალური სახელმწიფოები შეთანხმდებიან, მაგრამ ეს არა კმარა. მეტად კარგი იქნება, რომ მეომარ სახელმწიფოებსაც მივცეთ ესეთივე წინადადება. ეს მით უფრო სასარგებლოდ მიგვაჩნია, რომ ამერიკის წინადადება არც რუსეთს მოუტანს ზარალს, არც იაპონიას, პირიქით, ჰეის ნოტა კულტურასა და მშვიდობიანობას დიდს სარგებლობას მოუტანს“.

ამერიკის წინადადება, რასაკვირველია, ინგლისურმა გაზეთებმაც გაარჩიეს. „მორნინგ პოსტ“-ი, სხვათა შორის, სწერს: „ჰეის წინადადების ასრულებას ერთი რამ დააბრკოლებს:

ყასბებმა ყურადღება მიაქციეს და მიჰხვდნენ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ახალს ოინს ჰნახავდნენ. ართუშას „შტუკებსა“ და ცირკს შეჩვეული ბაზრის ხალხი მოთმინებით ელოდდა იმ დროს, როცა ჩანჩურა ხელ-ახლა გახდებოდა მათის უთავბოლო ხარხარის და სიცილის მიზეზად. ერთს დღეს ართუშამ მართლა დაუჯერებელი ცირკი გაუმართა ხალხს; ბაზარში ბრბო მოაგროვა, თითონ შუაში ჩადგა, წინ ჩანჩურა და მურა დაიყენა, ერთი ფილტვი გასჭრა შუაზე, ჰაერში შეისროლა და ჩანჩურა და მურა ეცნენ ერთმანეთს. ასტყდა საშინელი ბრძოლა. ბრბოს პირუტყვული ინსტინქტები გაეღვიძა, ზოგი ჩანჩურას სთვლიდა თავის ფალავნ ზოგი მურას, ყველას-კი ეცინებოდა, ყველას მუცელი ეჭირა ხელით. პატარა ბიჭებს თითები ჩაეწყოთ პირში და უსტვენდნენ, ბრბოს ერთი ნაწილი ჩანჩურას აქეზებდა, მეორე მურას. ფილტვის ნაჭერს მურამ პირველმა ჩაჰკიდა კბილი, მაგრამ ჩანჩურამ თითონ მურას წაავლო ხელი კისერში და, თითქოს დახრჩობას უპირებდა, ჩანჩურა და მურა, ბრძოლით გატაცებული, მტვრის კორიანტელში იმალებოდნენ და მიწაზე დაგორაობდნენ. გაუშველეთ, ჩანჩურამ აჯობაო—დაიძახა ვილაცამ, მაგრამ ამ დროს მურამ ფილტვს თავი დაანება, განზე გადახტა და, როდესაც ჩანჩურამ ფილტვი პირისაკენ წაიღო, სწორედ ამ დროს ზედ თავზედ დაახტა, ჩასჭიდა კბილი ჩანჩურას ცხვირს და ხელახლა ატყდა ბრძოლა. გამარჯვება მურას დარჩა, ბრბოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ძლევამოსილი ფალავანი ხელით მიჰყავდათ და თან სიმღერებს ამბობდნენ. ჩანჩურა მთლად დასისხლიანებული წამოდგა, მტვერში გაგანგლილი იყო და საცოდავი სანახავი. ვილაცამ თავში ჩაარტყა დაცინვის ნიშნად, შემდეგ ბზრიალასავით დაატრიალა და ხელი გაუშვა. ჩანჩურა ისევ გაიშხლართა, ბრბო კი აღტაცებული იყო.

წარმოუდგენელია იმდენად დახშული ჰქონდეს ვისმე ზნეობითი გრძნობა, რომ გულცივად მოისმინოს ეს სასტიკი ამბავი ადამიანისა და ძაღლის შეტაკებისა ბრბოს გულის მოსაგებად. შესაძლოა, ჩანჩურა არ გვიყვარდეს, რადგანაც იმას არავითარი საყვარელი თვისება არა აქვს, მაგრამ დაუჯერებელია ზნეობითად არ აშფოთდეთ იმ ბრბოს წინააღმდეგ, რომელიც ჩანჩურას ძაღლთან ერთს საფეხურზე აყენებს და სტკბება იმ გარემოებით, რომ ძაღლი სჯობნის ადამიანს. ეს სურათი ბრძოლისა იმდენად ძლიერია, რომ მკითხველს სრულიად ავიწყდება ჩანჩურას პიროვნება და იმის ადგილას საერთოდ ადამიანს გულისხმობს. ჩვეულებრივ ზნეობას მსუბუქად ეკიდებიან, იმის მოთხოვნას დიდს ყურადღებას არ აქცევენ და ამიტომ სამართლიანად სთვლიან ბუნებით დასჯილის, დაცემულის ადამიანის მასხარად აგდებას. მაგრამ როდესაც ამ ზნეობრივ სიმსუბუქეს ისეთი დასკვნა, ისეთი შედეგი მოსდევს, რომ ადამიანი პირუტყვს უთანასწორდება, მაშინ უნებურად ჰგრძნობენ თავის შეცდომას და თვალნათლივ ჰხედავენ, რას მოასწავებს ადამიანურის ღირსების უარყოფა. „ჩანჩურას“ დასაწყისში მკითხველი თითქოს ურიგდება იმ გარემოებას, რომ ართუშა მოთხრობის გმირს აწვალებს და ბრბოს გულის მოსაგებად მაიმუნივით ათამაშებს; აქ სამარცხვინოს, ზნეობის წინააღმდეგს ის ვერაფერსა ჰხედავს, იმიტომ რომ გონებით და ზნეობით ლატაკი ჩანჩურა თანაგრძნობას არ უღვიძებს გულში, თუმცა კი ადამიანის მასხარობის საგნად გადაქცევა ისევე ეწინააღმდეგება ზნეობათს მოთხოვნას ადამიანურ პიროვნების პატივისცემისას, როგორც ძაღლთან ერთს ხაზზე დაყენება. ბ-ნმა ადამაშვილმა სწორეთ ამ მხრივ მოუარა საგანს, ჯერ ზნეობითი განურჩევლობა აგრძნობინა მკითხველს ჩანჩურასადმი და შემდეგ თითონვე აუტეხა ბრძოლა ამ განურჩევლობის წინააღმდეგ. რამდენადაც უნდა ბედ-შავი და დაცემული იყოს ადამიანი, ის მაინც ადამიანია, იმას მაინც ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც ადამიანს—ეს არის ძირითადი მოთხოვნა ზნეობისა და ამასვე ჰქადაგებს ბ-ნი ადამაშვილი.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ბ-ნმა ადამაშვილმა პირველს მოთხრობაშივე თვალ-საჩინოდ ძლიერი და უხვი ფანტაზიის ძალა გამოიჩინა. „ჩანჩურას“ ავტორის ნიჭის ეს თვისება, ჩვენის ფიქრით, მტკიცე თავდებია იმისა, რომ ეს მოთხრობა მხოლოდ პირველი ცდა არის, რომელსაც მეორე და მესამე უფრო ძლიერი და უფრო საგულისხმო უნდა მოჰყვეს. საყურადღებოა ისიც, რომ ბ-ნი ადამაშვილი იმ თვალით არ უყურებს სინამდვილის მნიშვნელობას ხელოვნებისთვის, როგორც სხვა ახალგაზრდა მწერლები. ბევრს ჰგონია, ბელლეტრისტი თავის დანიშნულებას სრულიად ასრულებდეს ნამდვილის ცხოვრების გადმოცემით, მხატვრულის აღწერით. ეს შემცდარი აზრია. ხელოვნებას უფრო ფართო მოედანი აქვს და უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე უბრალო წამბაძველობა. მარტოოდენ სინამდვილის ფოტოგრაფიულად ქაღალდზე გადაღება ხელოვნება არ არის, ეს თუ გნებავთ ხელობაა და არა ხელოვნება. ხელოვნებას აუცილებელი, ბუნებრივი კავშირი აქვს ყველა იმ სულიერ მოთხოვნასთან, რომელიც ადამიანს ნებას არ აძლევს გარეგან ნივთიერებით დაკმაყოფილდეს და იმის გადაღმა აძებნინებს მყუდროებას. მწერალი მხოლოდ მაშინ სტოვებს ღრმა კვალს ჩვენს გულში, როდესაც იმისი კალამი გულთამხილაობას იჩენს და იმ საგნებზე გვესაუბრება, რომლებიც საფუძვლადა აქვთ ან უნდა ჰქონდეთ ჩვენს დამოკიდებულებას სინამდვილესთან. ამით არის ძლიერი ხელოვნების კალამი და სწორედ ამას უნდა მიაპყრან მთავარი ყურადღება ახალგაზრდა ბელლეტრისტებმა. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ეგრედ წოდებულის რეალისმისა ლიტერატურაში, მაგრამ არც რეალისმის მოთხოვნას აკმაყოფილებს ფოტოგრაფიული სურათები, ისიც მეტს თხოულობს.

—

ჩვენის მიმოხილვის დასასრულ აღვნიშნავთ, რომ გასულს წელს ქართულის მწერლობის პატარა წრეს დააკლდა ორი მუშაკი: თავადი გრიშა აბაშიძე და ბატონი დიმიტრი ნადირაშვილი. აბაშიძის შესახებ თავის დროზე ცალკე წერილით მოვაგონეთ მკითხველებს უდროოდ გადაცვალებულის პოეტის განსაკუთრებით თვისებები და აქ ამიტომ აღარაფერს ვიტყვით. ბ-ნი ნადირაშვილი ეკუთვნის ჩვენის მწერლების იმ ჯგუფს, რომელმაც თვისი მთავარი ყურადღება გლეხთა ცხოვრებას მიაპყრო. განსვენებული ნადირაშვილი ცნობილი იყო როგორც ბელლეტრისტი და როგორც პუბლიცისტი. ორსავე სფერაში ის მუდამ გლეხთა ინტერესების დამცველი იყო, იმედიანად უყურებდა მომავალს და მკითხველ საზოგადოებას თავის ნაწერებით ამ ხანად უსამართლობისა და უვიცობის მორევში მყოფ გლეხებისადმი თანაგრძნობას უღვიძებდა. ბ. ნადირაშვილის ნაწერების მომეტებული ნაწილი სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული. სრული დახასიათება ამ მწერლისა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლო, როდესაც იმისი ნაწერები ერთად მოიკრიფება და მოგროვდება მასალა ბიოგრაფიის შესადგენად.

ზანგი

იაპონია ამტკიცებს, მანჯურია ჩინეთის ნაწილიაო, მანჯურიაში კი ნეიტრალიტეტის დაცვა შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენის აზრით, ძლიერ ეჭვობინება, რომ ამერიკის წინადადება შეიცვალოს და ამნაირად დაიწეროს: ომი აკრძალულია ჩინეთის ყველა პროვინციაში, გარდა მანჯურიისა. ჩვენის აზრით, მაინც იმედია, რომ ინგლისის მთავრობა დიდის ხალისით დასთანხმდება ამერიკის წინადადებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ გერმანია და საფრანგეთიც პრინციპიალურად მაინც დაეთანხმებიან ამერიკას. („რუს. ვედ.“)

დეპეშებიდან ვიცით, რომ „მორნინგ პოსტ“-ის იმედი გამართლდა: ამერიკის ნოტას თითქმის ყველა სახელმწიფო დაეთანხმა. ასე რომ ომი მანჯურიასა, კორეიასა, რუსეთის საკუთარ სამფლობელოსა და იაპონიის სამფლობელოს არ ასცილდება.

რუსეთი და გერმანია. გაზეთები და დეპეშები იუწყებიან, ამ ჟამად გერმანიის მთავრობა და პრესა გულწრფელად თანაუგრძნობენ რუსეთსაო. „რუს. ვედომ.“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: „გერმანიის მთავრობის მომხრე პრესა სწერს, გერმანია ეხლა ისე მეგობრულად ექცევა თავის მეზობელს, რომ რუსეთს თამამად შეუძლიან გერმანიის საზღვრებიდან თავის პოლკები წაიყვანოს და შორეულ-აღმოსავლეთში მოიხმაროსო“.

მაგრამ გერმანიაში დღესაც ბევრი თანაუგრძნობს თურმე იაპონიას და რუსებს-კი მტრულის თვალით უცქერის. „პეტერბურგსკი ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ვულისწყრომით იწერება: „გერმანიაში ზოგიერთ წრეს—ამ წრეების დასახელება სულ მეტი იქნება—მეტად მოსწონთ იაპონიის მამაცობა და სიფიცხე. ჩვენი მტრები ამტკიცებენ, იაპონიას მოულოდნელის დაცემით სულაც არ დაურღვევია საერთაშორისო უფლებაო. თავის უკანასკნელ ნოტაში იაპონიამ აკი შეატყობინა რუსეთს, ამას იქით ჩვენის ინტერესებისა და უფლების დასაცველად არც ერთს ღონისძიებას არ მოვერიდებიო. დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტა ომის გამოცხადებასთან ბარი ბარსააო. ომის ოფიციალური გამოცხადება დაძველებული წესია. მე-XVIII საუკუნიდან დაწყებული, ეს ძველი წესი მრავალ-ჯერ დაარღვიეს. საერთაშორისო უფლების მცოდნეთაც-კი აღარა სწამთ ეს წესიო“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ გუშინ, 5 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის რუს მწერლის **ნ. კ. მიხაილოვსკის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივ რუსულ, ქართულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და დიდ-ძალი საზოგადოება.

◆ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია **მთავრობის** შემდეგი **განკარგულება**: „შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, რომელიც მე 3 თებერვალს დეპეშით შემატყობინეს, ტფილისის გუბერნიის მაზრებში—ახალციხისა, ახალ-ქალაქისა და ბორჩალოსაში—შემოღებულ იქმნა სახელმწიფო მშვიდობიანობისა და წეს-რიგის გაძლიერებული დაცვა, რასაც საყოველთაოდ ვაცხადებ. სენატორი, გენ.-ადიუტანტი თავ. გოლიცინი“.

◆ რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობის მისაღებად **ჯარი გაიგზავნა** აგრეთვე ყარსის ოლქიდან და ალექსანდროპოლიდან. ერთი ნახევარი ამ ადგილებიდან ჯარისა გუშინ დილის 8 საათზე, ხოლო მეორე ნახევარი შუადღის 12 საათზე მოვიდა ტფილისს და აქედან ბაქო-ბალაჯარის გზით წავიდნენ შორეულ-აღმოსავლეთში. ჯარს ტფილისის სადგურზე კავკასიის უმაღლესი მთავრობა მიეგება და მოკლე სიტყვით მიულოცა ომში გამგზავრება და უსურვა იაპონელებზე გამარჯვება. ჯარს მიეგებნენ აგრეთვე რკინის გზის სამმართველოს და სახელოსნოების მოხელენი ჟანდარმებითურთ.

◆ გაზეთ **„კავკაზ“-ში ვკითხულობთ**: „გუშინდელ №-ში მოყვანილი გვქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბაქოში, სომეხთა ეკკლესიის შესავალთან, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა ყუმბარა ააფეთქეს. ამ ცნობის დასამტკიცებლად ვბეჭდავთ, რომ უკანასკნელის ცნობებით, ყუმბარის აფეთქების დროს სულ დაჭრილ იქმნა 19 კაცი; მათგან ორი იმდენად მძიმედ იყო დაჭრილი, რომ მალე გარდაიცვალა კიდეც, დანარჩენთაგან ორი მძიმედაა დაჭრილი, 15—მსუბუქად. ორი ბოროტ მომქმედი დაპატიმრებულია“.

◆ გაზეთ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ს ატყობინებენ სოხუმიდან: ამას წინად სოხუმის ქალაქის მოურავად არჩეულს ბ-ნ **ტომარას წინადადება მოუვიდა ქუთაისის გუბერნატორისაგან,** უარი განაცხადე სოხუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავჯდომარეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის მოურავად დამტკიცებული არ იქნებიო.

◆ როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, მთავრობამ გადასწყვიტა **მოუმატოს ტარიფს** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გადასაზიდ ნავთს: ახალი ტარიფია ფუთზე 19 კაპ. როგორც „ტორგ.-პრომიშლ. გაზ.“ იტყობინება, ახალი ტარიფი 1-ლ აპრილიდან იქნება შემოღებული.

◆ **შორეულ აღმოსავლეთში დეპეშების გზავნა** ციმბირით კერძო პირთათვის მოისპო. ეხლა იქით დეპეშები იგზავნება კავკასიით და სპარსეთით. დეპეშის თითო სიტყვა იაპონიაში გასაგზავნად ღირს 3 მან. 38 კაპ. (ომიანობამდე ღირდა 1 მან. 95 კ.), ჩინეთში-კი 2 მან. 38 კ. (ომიანობამდე ღირდა 1 მ. 13 კ.).

◆ **ნაძალადევში** იხსნება მე-2 პირველ დაწყებითი სასწავლებელი რკინის გზის მუშა-ხელოსანთა ბავშვებისათვის. სასწავლებლის შენახვა წელიწადში 3370 მან. დაჯდება. თხოვნებს უკვე იღებენ სასწავლებლის სადგომში.

◆ გაზეთ „კავკ. სელსკ. ხოზ.“-ს სიტყვით, განზრახვა აქვთ წელს გაგრაში კიდევ გამართონ **ორი დამატებითი გამოფენა მცენარეულობისა:** ერთი გაზაფხულზე და მეორე ზაფხულში. გამოფენათა მოწყობა რუსეთის ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიურ განყოფილებამ იკისრა.

◆ გუშინ, ტფილისის ქალაქის მოურავმა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის ქალაქის **საბჭოს დადგენილებანი:** ქალაქის ახალ და საუკეთესო სისტემით საყასბოს ასაშენებლად განსაკუთრებულ კომისიის არჩევანი, საქმე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღნიშნოს ქალაქის თვით-მმართველობამ რუსეთის პრესის დაარსებიდან 200 წლის დღესასწაული და სხვა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საერთო თხოვნა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გასანათებლად დაქირავებულ მუშებისა; ესენი გამგეობას სთხოვდნენ, მოგვიმატეთ ჯამაგირი, რადგანაც ისე ცოტა გვეძლევა ქალაქისაგან, რომ საჭმლის ფულადაც არა გვყოფნისო. ქალაქის გამგეობამ, ამ თხოვნის გამო რამდენისამე დღის წინად დაავალა ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს გამოიკვლიოს მთხოვნელ მუშების მდგომარეობა, რამდენი საათი მუშაობა აქვთ დღეში, და სხვ. ამ ცნობების შეკრების შემდეგ გამგეობამ დაადგინა მიემატოს მუშებს თვიური ჯამაგირი მათ შრომის კვალობაზე, რისთვისაც გადაიდოს საჭირო თანხა ქალაქის კასიდან.

◆ გადამდებ სენით ქალაქის სამკურნალოში 19 იანვრიდან 2 თებერვლამდე სხვა და სხვა გადამდებ სენით ავადმყოფი ყოფილა სულ 51 კაცი. აქედან მუცლათი 11, სახადით 16, ყელჩირგვებით 13 და სხვ. ამავე ხნის განმავლობაში ქალაქში ქუნთრუშით ავად ყოფილა 22 კაცი, სახადით 7 და სხვა.

—

მოსწავლე ქალის სოფ. გ—შვილის სასარგებლოდ კიდევ შემოვიდა 7 მანეთი. შემოუწირავთ: თ. ხ—ს 2 მან., მ. სტეფანოვს—1 მ., გ. ბაგიევს—1 მ., კ. დავიდოვს, გ. სუგინოვს, გ. კიკნაძეს, გ. ნავთიკოვს, ი. ტერ-ყაზაროვს, და ს. ჯანანოვარენს—ათ-ათი შაური.

ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

გუშინ, 5 თებერვალს, თავად-აზნაურთა წინამძღოლის ეგერმეისტერის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით, შესდგა საგანგებო კრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურებისა.

კრების დაწყებისათანავე თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა წაიკითხა უმაღლესი მანიფესტი ხელმწიფე იმპერატორისა იაპონიასთან ომის გამოცხადების შესახებ. მანიფესტის წაკითხვას თავად აზნაურობა დიდის აღტაცებითა და „ურა“-ს ძახილით მიეგება. შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე-დედოფლისა, ხელმწიფე მემკვიდრისა და მთელის უმაღლეს სახლეულობის სადღეგრძელოდ, რათა გადმოუვლინოს მათ ღმერთმა იაპონიასთან ომში გამარჯვება. პარაკლისის დასასრულ მგალობელთა ხორომ რამდენჯერმე იგალობა საერო ჰიმნი, რომელსაც თავად-აზნაურობა აღტაცებითა და „ურა“-ს ძახილით მიეგება.

შემდეგ თავმჯდომარემ თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა მოახსენა თავად აზნაურობას, უქვეშევრდომილესი გრძნობა გამოვუცხადოთ მის იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორსაო. კრებამ ერთხმად და აღტაცებით მიიღო თავ. მელიქიშვილის წინადადება და დაადგინა, ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, მოახსენოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მის უდიდებულესობის ფერხთა ქვეშ უქვეშევრდომილესსა და უსაზღვრო გრძნობას მიუძღვნის და როგორც ყოველთვის, ეხლაც მზადაა განუსაზღვრელად მიიღოს თავის თავზე დრ.ის და გარემოების მიხედვით ყოველივე შრომა და მსხვერპლი ხელმწიფის სამსახურად და ძვირფას სამშობლოს დასაცავად. საგანგებო კრებამ გადასწყვიტა, ეს დადგენილება აცნობონ ტფილისის გუბერნატორს და მოახსენონ კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს.

თავმჯდომარემ კრებას აცნობა აგრეთვე შინაარსი იმ ტელეგრამისა, რომელიც უქვეშევრდომილეს გრძნობების გამოსაცხადებლად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა უნდა გაეგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრს ხელმწიფე იმპერატორისათვის მოსახსენებლად. კრებამ „ურა“-ს ძახილით და ფეხზე ადგომით მიიღო შინაარსი დეპეშისა და დაავალა თავად-აზნაურთა წინამძღოლს დანიშნულებისამებრ მისი გაგზავნა.

დასასრულ საგანგებო კრებამ მოისმინა მოხსენება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ყველა წინამძღოლებისა და დეპუტატების შეერთებულ სხდომის გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა დაეხმაროს თავად-აზნაურობა ომში დასახიჩრებულთა და მოკლულთა ოჯახებს. საგანგებო კრებამ, თანახმად ამ მოხსენებისა, დაადგინა ჯერ-ჯერობით გადაიდვას 25,000 მან. თავად-აზნაურთა იმ თანხიდან, რომელიც თავად-აზნაურთა წლიურმა კრებამ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წმინდა მოგებიდან გადასდო საგანკებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შარშან. კრებამ დაადგინა აგრეთვე გაიმართოს ხელის მოწერა ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთ შორის, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, და ამ გზით მოჰკრიბონ შორეულ-აღმოსავლეთის ომისათვის საჭირო ფული. კრებამ შეწირულებათა მოსაკრებად ამავე სხდომაზე ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა შეუდგეს ხელის მოწერის გამართვას. კომისიის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თავ. ი. ს. ჭავჭავაძე, ხოლო წევრებად: თავ. ლ. გ. ჯანდიერი, გ. ს. განძიელი, ქ. ი. მამაცაშვილი და თავ. პ. გ. თუმანიშვილი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ქართული წარმოდგენა. ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ქართულს თეატრში გ. დ. ყიფიანის საბენეფისოდ ორი პიესა წარმოადგინეს: გ. ნ. სუნდუკიანცის 3 მოქმედებიანი კომედია „დაქცეული ოჯახი“ და გ. ერისთავის 3 სურათიანი ვოდევილი „თალისმით მთარშიეე“. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენის ნიჭიერის და დამსახურებულის არტისტის გ. ყიფიანის ბენეფისს მეტი ხალხი დაესწრებოდა, ვიდრე იყო,—თეატრი ნახევარზედ მეტად ცარიელი იყო. უეჭველ შემთხვევაში ამის მიზეზი ის არ არის, რომ საზოგადოება არ აფასებს და პატივს არა სცემს ბ-ნ ყიფიანს. მიზეზი ის გახლავსთ, რომ გუშინდელის წარმოდგენის შესახებ დროზედ და რიგზედ არ იყო გამოცხადებული. ჯერ განაცხადეს, რომ ხუთშაბათს, 5 თებერვალს, დანიშნულია გ. გუნიას ბენეფისი და აფიშებიც გამოჰკრეს, მერე სცენიდან გამოაცხადეს, რომ ოთხშაბათსაც კ. ყიფიანის ბენეფისია დანიშნულიო. ქალაქშიც ორ-ორი აფიშა იყო გაკრული, ერთი აუწყებდა კ. ყიფიანის, მეორე გ. გუნიას ბენეფისს. გარდა ამ განცხადებათა არეულობისა, იმის მიზეზად, რომ კ. ყიფიანის ბენეფისს ასე ცოტა ხალხი დაესწრო, ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ წარმოსადგენად მეტის მეტად ძველი, ათი-ათასჯერ ნათამაშევი პიესები იყო დანიშნული. მოსალოდნელი იყო, რომ ეს ჩინებული არტისტი თავის ბენეფისისათვის უფრო საინტერესო პიესებს ამოირჩევდა.

თვით წარმოდგენამ საკმაოდ მწყობრად ჩაიარა და განსაკუთრებით კარგი იყო ორთავე პიესაში თვით მობენეფისე.

ვ. ს—ი

—

ბათუმი. 3 თებერვალს, აქაურს თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებმა ბ-ნ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს: „ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმან“ იბსენისა. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. აღსანიშნავია განსაკუთრებით მესხიშვილის მშვენიერი თამაში. ამ წარმოდგენაზე ნიჭიერს არტისტს არაჩვეულებრივი წმინდა ხმა ჰქონდა და გარკვევით ლაპარაკობდა. საზოგადოება თეატრში ბევრი იყო.

მერი

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

მელნიკოვის საქმე

ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ვალერიან სერგეის ძის მელნიკოვისა, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტის პატრონის, ჩხარტიშვილის მეუღლე სოფიო ჩხარტიშვილისა უნივრად შეურაცხყოფა მიაყენებინა.

საქმის გარემოება ჩვენს გაზეთში უკვე მოყვანილი გვქონდა დაწვრილებით ამ ერთის თვის წინად და აქ აღარ გავიმეორებთ. ეს საქმე განსახილველად დანიშნული იყო წარსულ წლის 1 დეკემბერს. მაშინ მომრიგებელ მოსამართლემ მოასწრო მოწმეების კულჩინსკისა, წერეთლისა, გვერდწითელისა და ჭანტურაშვილის გამოკითხვა. ამათ, როგორც აღნიშნული გვქონდა, დაამოწმეს ქ-ნ ჩხარტიშვილის განცხადება შეურაცხყოფის მიყენების შესახებ. რადგანაც მაშინ არ გამოცხადდნენ მოწმეები: ამიერ-კავკასიის რკინიმ გზის მე-4 ნაწილის უფროსი ინჟენერი თავ. გ. პ. თუმანიშვილი, რკინის გზის სამმართველოს სასტატისტიკო განყოფილების მოხელე ბ-ნი კორსაკი, ამიტომ მელნიკოვის ვექილმა, ბ-ნ ჩხეიძემ, მათი მოწვევა მოითხოვა.

4 თებერვალს მოსამართლესთან გამოცხადდა მოწმე ინჟენერი თავ. თუმანიშვილი, ხოლო სხვები არ მოვიდნენ. მოწმემ თუმანიშვილმა აჩვენა ისე, როგორც ტფილისის სადგურის უფროსმა კულჩინსკიმ, და აღნიშნა, მელნიკოვი ისე უზრდელად ექცეოდა ქ-ნ ჩხარტიშვილისას, რომ ყველა იქ მყოფი აღშფოთებული იყოო. მოწმის კორსაკის გამოუცხადებლობისა გამო და ვექილის ჩხეიძის თხოვნით მომრიგებელმა მოსამართლემ დაადგინა ამ საქმის განხილვა გადაიდვას 24 თებერვლისათვის.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაციამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი მიიღო და გოლუხოვსკის ნდობა გამოუცხადა. მინისტრ-პრეზიდენტმა ტისამ განაცხადა, რუსეთი და ავსტრო-ჰუნგრეთი ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის საქმეებში ერთმანეთს ეთანხმებიან, რაიც ამართლებს იმედს, რომ რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებას იმ შემთხვევაშიაც ექმნება ძალა, თუ საქმის არსებული მდგომარეობა შეუძლებელი იქმნება და ორივე სახელმწიფო, მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, იძულებული იქმნება ახალი გადაწყვეტილება მიიღოსო.

პეტერბურგი. პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი გაგრას წაბრძანდა.

ხელმწიფე დედოფლებმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა გაიბედნიერეს და მიჰბრძანდნენ წითელი ჯვრის ელისავეტის მოწყალების დათა საზოგადოებაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ქუთაისის საცდელ მინდორი ჰყიდის დამყნილ ხეხილს და ამერიკულ ბამბის თესლს ყოველ საქმის დღეს თვითონ საცდელ მინდორში (წყალ-წითელა) პარასკეობით და კვირაობით—საკუთარ საწყობში (ქუთაისი, ფრანგების ქუჩა, კნ. მიქელაძის შენობა).

ხსენებულ მასალას შეძენა აგრეთვე შეიძლება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდის“ საწყობში (ბალახვანის ქუჩა, ამხანაგობის შენობა). (3—1)